

ტიპობრივი საგამოცდო ტესტები - ბუნებრივი ნედლეულის კვლევის საფუძვლები

- სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში ნივთიერებათა რომელი კომპლექსი ითვლება ექსტრაქტულ ნივთიერებად ?
 1. ორგანული გამხსნელით გამოწვლილული ნივთიერებები
 2. წყლით გამოწვლილული ნივთიერებები
 3. ნორმატილ დოკუმენტში მითითებული გამხსნელით გამოწვლილული
 4. ნივთიერებები
 5. ეთილის სპირტით გამოწვლილული ნივთიერებები
- რომელი მეთოდი გამოიყენება სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში ტენიანობის განსაზღვრისათვის?
 1. 50 – 60 ° C -ზე გამოშრობა
 2. 100 – 105 ° C გამოშრობა
 3. 500 – 600 ° C გამოშრობა
 4. 200 – 205 ° C გამოშრობა
- რა ითვლება სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დაუშვებელ მინარევად ?
 1. სხვა არაშხამიანი მცენარის მინარევები
 2. მინის ნამსხვრევები
 3. გამერქნებული ღეროების ნაწილები
 4. მცენარის სხვა ვეგეტაციური ორგანოები
- რა არ ითვლება ნედლეულისათვის “ფესვები, ფესურები, გორგლები” მიკროსკოპულ ნიშნად
 1. მექანიკური ქსოვილის ელემენტები
 2. ზაგის აპარატის ტიპები
 3. გამტარი კონის ტიპი
 4. ლაფნის ბოჭკოები
- ანალიზის რომელი მეთოდი იძლევა სამკურნალო მცენარეული ნედლეულის იგივეობის დადგენის საშუალებას?
 1. მიკროსკოპული და მაკროსკოპული
 2. პერმანგანომეტრული
 3. გრავიმეტრული
 4. იოდომეტრული

- რომელი ნივთიერებით ამუშავებენ ფოთლის ზედაპირული პრეპარატის მოსამზადებლად მცენარეულ ნედლეულს?
 1. გამოხდილი წყლით
 2. ტუტის ხსნარით
 3. ეთილის სპირტით
 4. მჟავის ხსნარით

- რა არ არის სამკურნალო მცენარეული ნედლეულისათვის დასაშვები მინარევი?
 1. ნედლეულის ფერშეცვლილი ნაწილები
 2. შხამიანი მცენარეების ნაწილები
 3. ამავე მცენარის სხვა ნაწილები
 4. გახვევებული ღეროს ნაწილები

- რა ეწოდება ფუტკრის პროდუქტებით მკურნალობას ?
 1. ფიტოთერაპია
 2. არომათერაპია
 3. ბდელიოთერაპია
 4. აპითერაპია

- რა თერაპიული ეფექტით ხასიათდება „ვიპრატოქსი“
 1. მატონიზირებელი
 2. ბაქტერიოციდული
 3. ტკივილგამაყუჩებელი
 4. შარდმდენი

- რა თერაპიული ეფექტით ხასიათდება დინდგელის (ჭროპოლის) პრეპარატები?
 1. მატონიზირებელი
 2. კარდიოტონური
 3. ანტიჰელმინტური
 4. ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო